პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 233 (19674) ◆ პარასკევი, 10 ოქტომბერი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.



ლიქტივი ამ დღეებში დიდნაყოფიერი შრომის ნაყოფითაც გვიხვდებან.

შახტაში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის აღსანიშნავად ხუთწლედის ორი წლის რეგიონ[illegible] [illegible] [illegible] [

პირადული ყველაზე მაღლა?

ყოველივე ის, რასაც ახლა მოგითხრობთ, ფანტაზია არ გეგონოთ, სრული სიმართლეა: ფაქიზად გალესილი და იმპორტული შპალერით დაშვებული კედლები, ფიგურულკარნიზებიანი ჭერი, მაგარი ჯიშის ხისგან დამზადებული კარ-ფანჯრები, სათავსოებში მოჭიქული ფილებით მოპირკეთებული კედლები და იატაკი, ყველგან ძნელად საშოვარი საზღვარგარეთული მოწყობილობა. მბზინავი თელის პარკეტი მარტო ოთახებში კი არა, სამზარეულოშიც კი დაუგიათ, სადაც პროექტით ლინოლეუმი იყო გათვალისწინებული. დგამ-ავ ე ჯ ი კედლებშია ჩადგმულ-ჩაშენებული, ხოლო შემოსასვლელი კარი რკინისაა. სამზარეულოდან კედელი გაუნგრევიათ და საერთო სამრობ-სათავსოსთან დაუკავშირებიათ.

ერთი სიტყვით, ყველაფერი ჩინებულადაა შესრულებული, მაგრამ ეს მხოლოდ ერთ ბინაში, რომელიც ოთხოთახიანია და გაერთიანება „თბილისელ-ალმშენის“ № 4 სახლთსაშენებელი კომბინატის უფროსს დ. მაყაშვილს თავისთვის შეურჩევია და კეთილმოუწყია. აბი წარმოიდგინეთ: პროექტით გაუთვალისწინებელი ეს სამუშაოები სახელმწიფოს 10 ათას მანეთზე მეტი დაუჯდა. ამას სჩადის კომუნისტი ხელმძღვანელი, კაცი, რომელიც ყველაზე მაღლა აყენებს პირადულს, ფიხქვეშ თელავს სხვების ინტერესებს.

კი მაგრამ სხვა ბინები? „თბილისელ-ალმშენის“ პირველი და მეოთხე სახლთსაშენებელი კომბინატების მიერ აგებულ სამ საცხოვრებელ სახლში სახალხო კონტროლორებმა 270 ბინა შეამოწმეს და იმ ერთის გარდა სამუშაოები შესრულებულია უხარისხოდ და უკეთესი ხელეწერედაა გასაკეთებელი.

ᲐᲡᲔ ᲜᲘᲐᲕᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲥᲝᲜᲔᲑᲐ

თხა ვიყიდე, თხა გავყიდე, სარგებელი ვერა ვნახეო — „უნებლიეთ ეს გონებამახვილურად ნათქვამი გაგვახსენდა, როცა ცაგერის რაიონის ზოგიერთ საზოგადოებრივ მეურნეობაში ვამოწმებდით, როგორ იცავენ მეცხოველეობის სოციალისტურ საკუთრებას, ხალხის დოვლათს.

თავად განსაჯეთ, შარშან ცაგერის მეცხოველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმომ მოსახლეობისაგან კოოპერირების წესით შეიძინა და იმავე დღეს სახელმწიფოს ჩაბარა 178 ღორი. ამ ოპერაციამ ალბათ რამდენიმე საათს გასტანა, მაგრამ ღორებმა რატომღაც სწრაფად დაიკლეს წონაში, თანაც ცოტა კი არა, 1100 კილოგრამი, რის გამოც საწარმომ 2500 მანეთი იზარალა. ან კიდევ ასეთი ფაქტი: სოფელ ჩხუტელის კოლმეურნეობამ შარშან აგვისტოში მოსახლეობისაგან 1130 მანეთად 2 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი შეიძინა, დეკემბერში კი კოლმეურნეობამ ისევ მოსახლეობას იაფად, 800 მანეთად მიჰყიდა. ასე რომ, კოლმეურნეობის სალაროს ამჯერად 330 მანეთი დაეკლდა. ამავე კოლმეურნეობაში წლეულს კერძო პირს ჯიშიანი დეკეული მიჰყიდეს და აქაც 414 მანეთი იზარალეს. გოჭების გაყიდვის დროსაც 1100 მანეთი იზარალეს.

თუმცა ამ გზით მიყენებული ზარალი ვერც ერთი და ვერც მეორე ორგანიზაციის ეკონომიკას დიდ დაღს ვერ დაარნევდა, აქაური თაკაცებისა და სპეციალისტების უგერგილობისა თუ უსასუხისმგებლობის წყალობით რომ არ ნიავდებოდეს ქონება. მეცხოველეობის განვითარების დიდ საქმეს ზარალი ადგება საზოგადოებრივი საკუთრების ხელყოფით ჩამოწერის გამო.

მეცხოველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმომ, აქაოდა ამდენი საკვები არა გვაქვსო, შარშან ივლისში კერძო პირებსა და ორგანიზაციებს 556 გოჭი მიჰყიდა. ესეც არ იკმარეს და ნოემბერში პირუტყვის გასვლის აქტების შეუდგენლად შემცირებული წონითა და ღირებულებით ორ თვემდე ასაკის 102 გოჭი ჩამოწერეს — 918 კილოგრამის ნაცვლად მათი წონა 290 კილოგრამად აღრიცხეს, ხოლო ღირებულება 2100 მანეთი კი არა, 600 მანეთი იანგარიშეს. საერთოდ ამ საწარმოში გოჭების საკითხს ძალზე იოლად წყვეტენ. მაგალითად, შარშან მაისში დაუსაბუთებლად ჩამოწერეს ვითომდა გამწყდარი 2-4 თვის 3 გოჭი, 40 სული ისე „გამოიტირეს“, რომ დირექტორს აქტები არ დაუმტკიცებია. ოქტომბერში 6 გოჭი გაუყიდიათ 218 მანეთად, მაგრამ ეს თანხა შემოსავალში არ ჩანს.

მარტო გოჭები როდია აქ ადვილი ხელმამოსაკრავი. არც სხვა საქონელს ადგას კარგი დღე. იძულებით დაკლულებში, ყოველგვარი გასვლის აქტების გარეშე და დაუსაბუთებლად აღნიშნულია 7600 მანეთის 2400 კილოგრამი 11 სული საქონელი. მაგრამ ხორცი და სუბპროდუქტები სად გაქრა, ვერავინ გეტყვით.

უცნაურ მეტამორფოზებს განიცდის დამზადების ორგანიზაციებში ჩაბარებული პირუტყვის წონა. რატომღაც მათს სასწორზე შემდგარი ძროხა თუ ღორი საინვენტარიზაციო წონასთან შედარებით სასწრაფოდ იკლებს, თან არცთუ ცოტას. ასე დაიკლო 5200 კილოგრამი მეცხოველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოს მიერ ჩაბარებულმა პირუტყვმა, რის გამოც სულ ცოტა 11200 მანეთი იზარალეს.

საწარმოს თავკაცები იოლად ახერხებენ ასეთი ზარალ-დანაკლისისაგან თავის დაღწევას. ასე იყო შარშან, როცა ინვენტარიზაციით ერთჯერადი სასუქი ღორების ჯგუფში 22 ათასი მანეთის, თითქმის ათი ტონა ხორცის დანაკლისი გამოვლინდა. საწარმოს ხელმძღვანელებმა დამნაშავეების ძებნა კი არ დაიწყეს, არამედ წლის ბოლოსათვის ხელოვნებით შეამცირეს ამ ჯგუფის ღორების წონა და დანაკლისი ზარალში ჩამოწერეს. ასევე მიჩქმალეს იმავე ინვენტარიზაციით გამოვლენილი 5 სული სხვადასხვა ასაკის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის დანაკლისი.

ჩხუტელის კოლმეურნეობის მესვეურებმაც ალბათ იფიქრეს, ასეთ ოპერაციებს ჩვენც მოვახერხებთო, და მწყემსების უყურადღებებით გამწყდარი პირუტყვის ღირებულება — 1900 მანეთი ზარალში ჩამოწერეს. არც აქ მიიჩნიეს დიდ დანაკლისად „დამზადების საწყორის გაუმართობით“ გამოწვეული 2400 მანეთი განსხვავება.

უფრო მეტიც, რაღაცნაირად ხომ უნდა აენაზღაურებინათ 2,9 ტონა სასუქებელი ღორების წონითი დანაკლისი, რომელთა ღირებულებაც 6800 მანეთს უდრიდა. მისათვის შემოსავალში არ აღრიცხეს 66 სული ბოჭი და ღორების დანაკლისიც „გაასწორეს“.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა ამ დღეებში იმსჯელა ამ მეურნეობებში სოციალისტური საკუთრების დაცვის საქმეში არსებული სერიოზული ხარვეზების შესახებ და მინდობილი საქმისადმი სუსტი ხელმძღვანელობის, სოციალისტური საკუთრების განაგების აღსაკვეთად ზომების მიუღებლობისათვის, რამაც განაპირობა პირუტყვის ზოოტექნიკური და საბუღალტრო აღრიცხვის მოუწესრიგებლობა, მეცხოველეობის პროდუქტებისა და პირუტყვის დანაკლისი, მატერიალურ ფასეულობათა უკანონო ჩამოწერა, თანამდებობიდან გადააყენა ცაგერის მეცხოველეობის სამეურნეობათშორისო საწარმოს დირექტორი კონსტანტინე ღურჯუმელაძე და სოფელ ჩხუტელის კოლმეურნეობის თავმჯდომარე დადაშ მეშველიანი, ხოლო გამოკვლევის მასალები შემდგომი რეაგირებისათვის ცაგერის რაიონის პროკურატურას გადასცა.

სოციალისტური საკუთრება, ხალხის საკუთრება წმიდათაწმიდაა და მისი განიავება-ხელყოფა, მისი დაუცველობა არავის ეპატიება.

Თ. ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.
საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის ინსპექტორი.

ᲐᲮᲚᲘᲡ ᲤᲘᲥᲘᲤᲔᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲘ

ᲛᲐᲡᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲗ

ᲒᲕᲔᲠᲓᲘ № 219

მშრომელთა სიგნალების კვალდაკვალ

1. ᲚᲘᲛᲝᲜᲗᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ

— ᲬᲧᲐᲚᲘᲗ?!

„ᲓᲐᲒᲘᲚᲔᲕᲘᲐᲗ როდისმე დუშეთში ლიმონათი? ნუ დაიზარებთ და გემო გაუსინჯეთ, ამ წყალწყალა სასმელს არც შაქრის, არც გაზისა და არც სხვა კომპონენტების ნასახი არ აქუვია. თუმცა ეს გასაკვირი როდია. დუშეთის უალკოჰოლო სასმელების საწარმოს ვ. ველთაურის ზახით ისეთი კაცი ჩაუყენეს სათავეში, რომ მისგან უარესიც არის მოსალოდნელი“...

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში შემოსული სიგნალიდან.

ᲡᲝᲤᲔᲚ ბაზალეთში დაუდვია ბინა დუშეთის რაიონის სამომხმარებლო საზოგადოების უალკოჰოლო სასმელების საწარმოს, რომელსაც მაისიდან სათავეში ვალიკო ველთაური ჩაუყენეს.

წინა წლებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, წლევანდელ ოთხ თვეში საწარმო პირნათლად ასრულებდა პროდუქციის გამოშვების გეგმებს და მის ნაწარმსაც მომდურავი მაინცდამაინც არ ჰყოლია. მაგრამ მაისის თვიდან მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა, ახალი ხელმძღვანელის ხელში ვერც გეგმები შეასრულეს, სავაჭრო ქსელსაც 112 ათასი ბოთლი უალკოჰოლო სასმელი დააკლეს და ხარისხიც საგრძნობლად გაუარესეს.

დიდი დეგუსტატორობა არ არის საჭირო, რომ სასმელსა თუ საპშელს ხარისხის დაქვეითება, საერთოდ გაფუჭება შეატყო. ამაზე ხალხი ალაპარაკდა და 29 მაისს ცეკავშირის რესპუბლიკური კვების (საკონტროლო-საწარმოო ლაბორატორიის) შემოწმება ამაც დაადასტურა, რომ სასმელების ხარისხის მკვეთრი გაუარესების მიზეზი პროდუქციაში შაქრისა და ლიმონმჟავას რაოდენობის შეგნებულად დაკლება, აგრეთვე ტექნოლოგიური პროცესების დარღვევა იყო. მაშინ შემმოწმებლებმა 100 პროცენტით დაიწუნეს საწყობში არსებული 1820 ბოთლი „ლიმონათი“.

ამ ფაქტის გამო იმსჯელა დუშეთის რაიკავშირის გამგეობამ და საწარმოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ვ. ველთაური მკაცრად გაფრთხილა, ლაბორანტს სასტიკი საყვედური გამოუცხადა და ორი თვის ხელფასის გადახდაც დაკისრა (?!).

როცა სახალხო კონტროლის რესპუბლიკურ კომიტეტში შემოსულ სიგნალს სწავლობდნენ, შემმოწმებლებმა დაიწუნეს 5 ათასი ბოთლი სასმელი „გულაბი“, სხვანაირად არც შეიძლებოდა, რადგან მის შემადგენლობაში ეგრეთ წოდებული მშრალი ნივთიერებანი (ძირითადად შაქარი) 6,6 პროცენტის ნაცვლად 5,5 პროცენტი აღმოჩნდა, ხოლო მჟავიანობა და ნახშირორჟანგი სანახევროდ გაუმეტებინათ.

ახლა სასმელების დამზადების ტექნოლოგიას აღარ იკითხავთ? სასმელების დასამზადებლად გამოყენებული წყლის ტემპერატურა +4 გრადუსი უნდა იყოს, აქ კი შემოწმების დღეს წყალი 20 გრადუსამდე იყო გამთბარი, რაღგან სამაცივრო დანადგარი საწარმოს ამუშავების დღიდან უმიქმედოდ დგას, და, მეორეც, ზაფხულის პაპანაქებაშიც კი, როცა გარეთ 30 გრადუსი ციცხე იყო, აქ მთელი ძალით მუშაობდა ცენტრალური გათბობის სისტემა (ეს ასე ყოფილა წელწადნახევრის განმავლობაში).

ახლა კი ვ. ველთაურს გაგიგონთ: თურმე იგი წინათ საზოგადოებრივი კვების გაერთიანების დირექტორად მუშაობდა, მაგრამ სახელმწიფო დისციპლინის უხეში დარღვევებისა და საწყობში აღურიცხავი არყის შეტანისათვის პარტიის რაიკომის ბიუროს გადაწყვეტილებით თანამდებობიდან გათავისუფლებიათ. შემდეგ რაიკავშირის საქონელმცოდნე-დეკორატორად უმუშავია, მაგრამ, როგორც ეტყობა, ვიღაცამ იფიქრა, ცოდვაა ამ საქმეზე ასეთი კაცის შოცდენაო, და წლეულს მაისში უალკოჰოლო სასმელების საწარმოს ხელმძღვანელობის „გასაძლიერებლად“ უფროსის მოვალეობის შესრულებლად დაუნიშნავთ. ამის შემდეგ რაც მოხდა, იცით.

თუმცა ყველაფერი არ გვითქვამს: 28 ივლისს ვ. ველთაური თურმე ავტომანქანას ნასვამი მართავდა, რისთვისაც რაიკავშირის პარტიულმა ორგანიზაციამ მას სასტიკი საყვედური გამოუცხადა.

შემდეგ კი რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების მუშაკებმა რაიკავშირის № 5 მაღაზიაში 460 ბოთლი უფაქტურო სასმელი აღმოაჩინეს. კვლევა უალკოჰოლო სასმელების საწარმოში მიიყვანა ისინი. 31 ივლისს აქ მოწყობილმა ინვენტარიზაციამ მატერიალურად პასუხისმგებელ პირს ვ. ველთაურს 1121 მანეთის ფასეულობათა დანაკლისი და 276 მანეთის მეტობა გამოუვლინა.

მაგრამ შინაგან საქმეთა განყოფილების წარდგინების მიუხედავად, რაიკავშირის ხელმძღვანელობა, კერძოდ კი მისი თავმჯდომარე ო. პაპუკაშვილი და მისი მოადგილე მშენებლობის, მრეწველობისა და ტექნიკის დარგში ქ. ვერძეული ვერ შეელიენენ ესოდენ საჭირო კაცს და მხოლოდ 11 სექტემბერს, როცა იქ სახალხო კონტროლის რესპუბლიკური კომიტეტის წარმომადგენლები ჩავიდნენ, გადაწყვიტეს, ისიც დიდი ბოდიშებით, ვ. ველთაურის თანამდებობიდან განთავისუფლება.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა ლიმონათის საწარმოში გამოვლენილი უხეში დარღვევების ამბავი პარტიის დუშეთის რაიკომს აცნობა, ხოლო შემოწმების მასალები შემდგომი რეაგირებისათვის პროკურატურას გადასცა.

იქნებ ახლა მაინც ეშველოს რამე დუშეთის მარკის ლიმონათს!

2. ᲪᲐᲠᲘᲔᲚᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲤᲒᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ

თბილისის აეროპორტიდან ქუთაისისაკენ მიმავალი თვითმფრინავის გაფრენის დრო ახლოვდებოდა. რეგისტრაცია კარგა ხანია გამოცხადებული იყო. საბილეთო სალაროსთან 10-15 კაცს მოეყარა თავი, ზოგს სამსახურში აგვიანდებოდა, ერთნი მივლინებაში მიჩქაროდნენ, მეორენი ოჯახთან შეხვედრას ესწრაფოდნენ. ერთი სიტყვით, ყველას ბილეთი სჭირდებოდა. მოლარე ლამარა ფუტკარაძემ თავდაპირველად კი გაყიდა რამდენიმე ბილეთი, მაგრამ შემდეგ ყველას ერთი პასუხით ასტუმრებდა: ბილეთები არ არის! და არც იქნებაო...

როცა მგზავრთა რეგისტრაცია მთავრდებოდა, აეროპორტის მუშაკებმა ნახეს, რომ 27 მგზავრის ნაცვლად მხოლოდ 15 კაცი გამოცხადდა. მაშინ დისპეტჩერის მოვალეობის შემსრულებელმა ნ. ოსიპოვამ ტელეფონით შეატყობინა პირველ სალაროს, ესე იგი ლ. ფუტკარაძეს, რომ კიდევ შეეძლო გაეყიდა 10 ბილეთი (ეს მოლარემ გაიგო, მგზავრებმა კი არა); 2 ბილეთი კი მაინც შემოინახა ბოლო წუთამდე.

მოლარემაც კიდევ მოიღო „მოწყალება“, 5 თუ 6 ბილეთი გაყიდა და სალარო საბოლოოდ გამოკეტა.

მალე ვერცხლისფერი ლაინერი ცაში აიჭრა და დასავლეთისკენ აიღო გეზი. სალაროსთან კი სამგზავროდ გამზადებული 13 მგზავრი დარჩა.

თვითმფრინავში მოხვედრილმა მგზავრებმა, რომლებმაც საბილეთო სალაროსთან გამართული რიგი და გაწბილებული ხალხი ნახეს, ჯერ გაოცება და შემდეგ აღფოთება ვერ დამალეს, როცა სალონში 6 თავისუფალი ადგილი აღმოაჩინეს.

აეროპორტში დარჩენილმა მგზავრებმაც ხომ დაინახეს, რომ რეგისტრაციაზე იმდენი კაცი არ გამოცხადებულა, რამდენიც თვითმფრინავის შესავსებად იყო საჭირო. ადგილზე რომ ვერაფერს გახდნენ, ადგნენ და სახალხო კონტროლის რესპუბლიკურ კომიტეტს მიმართეს — გთხოვთ გაარკვიოთ, რის გამო დავზარალდით მგზავრებიც და სახელმწიფოც. თან ისიც დასძინეს, ეს იმვითი შემთხვევა არ არის ადგილობრივი მნიშვნელობის რეისებზე და მოლარეები ხშირად გარკვეული რაოდენობის ბილეთებს არ ყიდიან სარფიანი მგზავრების მოლოდინშო.

ახლა მოლარე ლ. ფუტკარაძე თავს იმართლებს — მგზავრები არ იყვნენ, თორემ გაუყიდავ ბილეთებს! რატომ დავიტოვებდიო. მას თავის მხრივ კვერს უკრავს ნ. ოსიპოვა — ერთი დაგვიანებული მგზავრი გამოჩნდა და მაშინვე „უშოვეთ ბილეთიო, სხვებს რატომღა დავტოვებდითო.

მაშ. საიდან გამოჩნდა ის 13 მგზავრი, კომიტეტში გამოგზავნილ განცხადებას რომ აწერენ ხელს?

თუმცა ყოველივე ამაში უფრო დაწვრილებით და ზუსტად სამოქალაქო ავიაციის საქართველოს სამმართველოს ხელმძღვანელობა გაერკვევა და, ალბათ, დამნაშავეებს საკადრისად მიუზღავს.

3. ᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ, ᲠᲐ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲐ

სამკურნალო პროცედურების შემდეგ წყალტუბოს მაღაზიებში „მოსკვიჩის“ სათადარიგო ნაწილების შესაძენად შესულ შუალედ (ივანოვოს ოლქი) ალბინა ბაჩურინას ავტომაღაზიებში ნანახმა და მოსმენილმა ხელში კალამი აალებინა და განცხადებაში ჩაწერინა: „მე ვერაფრის ყიდვა ვერ შევძელი, რადგან ეს გამყიდველი-სპეკულანტი საქონ ე ლ ს ფაქტობრივ ღირებულებაზე ათჯერ ძვირად აფასებს... ამ გამყიდველებს, სახელმწიფო მაღაზიებში რომ მოკალათებულან, არავის და არაფრის არ ეშინიათ. განა შეიძლება ასეთი ადამიანები საბჭოთა ვაჭრობაში მუშაობდნენ?“.

უცხო მყიდველს ერთ მაღაზიაში რეზინის შუასაღები 15 მანეთი დაუფასეს, ხოლო დაუშის რგოლების კომპლექტი — 30 მანეთი. მეორე მაღაზიაში „მოსკვიჩის“ საბურავებში 120-120 მანეთი მოსთხოვეს, ყასიდად „ვოლგის“ დგუშის რგოლებიც რომ მოიკითხა, ფასმა შეაძრწუნა —150 მანეთი დასჭირდებოო.

ახლა, რასაკვირველია, ძნელია სტუმრის ნაკვლევს გაჰყვ ე ს და მის მიერ წერილში დასახელებული ფაქტების ჭეშმარიტება დაადგინო. მაგრამ, როგორც ამბობენ, უეცაცხოდ კვამლი არ არსებობს, ამ ჭეშმარიტებაში სახალხო კონტროლიორები პირველსავე მაღაზიაში შესვლისას დარწმუნდნენ.

ქვეტირის ავტომაღაზიაში გამყიდველმა გოჩა ბოჭორიშვილმა „მყიდველს“ ავტომანქანის საღებავსა და სამუხრუჭე სითხეში 8 მანეთისა და 10 კაპიკის ნაცვლად 10 მანეთი გადაახდევინა. შემდეგ კი იფიცა, საღებავის ქილა შემეშალა, მეგონა უფრო ძვირფასი-ნი მიეყოლიო, მაგრამ აღარ დაუჯერეს.

თავი იმართლა მაღაზიის გამგემ დემურ ლოლუამაც, როცა საწყობში სხვადასხვა მარკის ავტომანქანების 22 ცალი საბურავი აღმოუჩინეს: ზოგს ომისა და შრომის ვეტერანებსა და ინვალიდებს ვუნახავთ და ზოგიც დეფექტების გამო გამომშვებ საწარმოს უკან უნდა დავუბრუნოთო.

იქნებ ამავე მიზნით ინახავდა სპორტვაჭრობის № 20 მაღაზიის გამგე გიორგი გვიშიანი 2139 მანეთის ავტოსათადარიგო ნაწილებს? ანდა ვისთვის, ან რისთვის ჰქონდათ გადამალული 27 ათასი მანეთის დეფიციტური იმპორტული საქონელი რაიკავშირის ქვეტირის პირველ მაღაზიაში (გამგე გ. ლომიძე)? ალბათ, მაღაზია „ტურისტის“ გამყიდველს გ. ბურჯალიანსაც „შეეშალა“, როცა მომხმარებელს ზედმეტს ახდევინებდა?

ნათქვამია, ფაქტი ჯიუტიაო, და წყალტუბოში სამკურნალოდ ჩამოსულ დამსვენებელსაც უსაფუძვლოდ როდი დაუწერია მეურაცხყოფელი სტატიები, რომლებიც, სამწუხაროდ, მარტო ვაჭრობის მუშაკებზე კი არ ვრცელდება, არამედ მთელ ჩვენს რესპუბლიკას სცხებს ჩირქს.

სახალხო კონტროლის რესპუბლიკურმა კომიტეტმა წყალტუბოს ავტომაღაზიებში გამოვლენილ დარღვევების მასალები საქართველოს სსრ პროკურატურას გადასცა.

ᲡᲐᲠᲔᲘᲓᲝ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲐ.

ᲐᲩᲥᲐᲠᲔᲑᲐ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ

შემოდგომა გავიდა ფინეშის სწორზე. აცივდა. ზამთარიც ცხრა მთას იქით როდია. ამას წინათ გამართულ რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირზე ხაზგასმით ითქვა, რომ წელევანდელი ზამთრის ენერგეტიკულ ბალანსს უაღრესად დაძაბული პირი უჩანს და ამიტომ არ შეიძლება ოდნავი მოდუნებაც კი, თბილი ზამთრის იმედით ყოფნა. საჭიროა ვიმუშაოთ მომეზრინედ, აღვკვეთოთ ყოველგვარი უყაირათობა და მფლანგველობა, ბოლომდე გამოვიყენოთ ყველა რეზერვი.

შემოდგომა-ზამთრის პერიოდში რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო კომპლექსის სტაბილური მუშაობის უზრუნველყოფის ერთობ რთული და პასუხსაგები ამოცანის განხორციელებისათვის ბრძოლაში აქტიურად იღებენ სახალხო კონტროლის ორგანოებიც. [illegible] კონტროლი და [illegible] ეფექტურ [illegible] ორგანოებს, ისე ელექტრობის, სითბოს, საწვავის ყაირათიან ხარჯვას, ეწყობა რეიდები, შემოწმებები, დათვალიერებანი, ენერგიისა და სათბობის უყაირათო ხარჯვა კომიტეტების, ჯგუფების, საგუშაგოების მკაცრი მსჯელობის საგანი ხდება.

ვაქვეყნებთ ადგილებიდან მიღებულ ცნობებს ამ მხრივ გაწეული მუშაობის შესახებ.

ფოთი. ამიერკავკასიის რკინიგზის ფოთის სადგურისა (უფროსი — რ. ჯიაანი) და სისტემის შესაბამისი დისტანციების ხელმძღვანელებმა სათანადო დასკვნები ვერ გამოიტანეს შარშანდელი მწარე გაკვეთილებიდან, როცა მძიმე ზამთრის პირობებში ჩვენი ქვეყნის რკინიგზაზე დაირღვა ტვირთნიდვის რიტმი, მილიონობით ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთს დაგვიანებით გზავნიდნენ, გზაში აყოვნებდნენ.

შემოდგომა-ზამთრის პირობებში შეუფერხებელი მუშაობისათვის აქ შედგენილი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების გეგმა ისედაც არ არის სრულყოფილი და მისი განხორციელებისთვისაც დროზე არ იზრუნეს. მოსაწესრიგებელია რკინიგზის მისასვლელი ლიანდაგები, ავარიულ მდგომარეობაშია „ბ“ პარკის მე-10 გასაგზავნი ლიანდაგი, კაპიტალურ რემონტს საჭიროებს რამდენიმე სასრე გადამყვანი, ბატარეის ჩიხის მისასვლელი ლიანდაგი. ეს გარემოება კი, ეტყობა, დიდად არ აწუხებს სალიანდაგო სამსახურის უფროსს ა. გაბელაიას. არც ვაგონების სარეცხ პუნქტშია (უფროსი — ნ. შურღაია) სრული წესრიგი — ნახევარი თბოტრასა შეუფუთავია, დასამთავრებელია საქვაბის შეკეთება, მოსაგვარებელია თბოენერგიის გაშვება-გაწყობის საკითხი...

ვერც მე-4 ბინათმშენებლობისა და სარემონტო უბნის მესვეურებმა (ვ. ქირია, თ. კაჭარავა) გაშალეს სათანადო მუშაობა, საცხოვრებელი სახლებისა და საწარმოო დანიშნულების ობიექტების ერთ ნაწილში წესრიგშია მოსაყვანი საინჟინრო კომუნიკაციები, ელექტრო, გამთბობი და წყალსადენ-კანალიზაციის ქსელი, ნელი ტემპით მიმდინარეობს საცხოვრებელი სახლისა და დაწესებულებათა შენობების კაპიტალური რემონტი, ხოლო რამდენიმე სახლის სახურავის, კარ-ფანჯრების, სადარბაზოების შეკეთება დაწყებულიც არ არის. არ მოუმარაგებიათ ეზოების დატბორვისაგან დასაცავი თოვლის საწმენდი იარაღ-მოწყობილობანი.

აქ მთელი პასუხისმგებლობით არც სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მომჭირნე ხარჯვას, ენერგომეურნეობის ტექნიკურ მდგომარეობას ეკიდებიან. ძალურ კარადებში ზოგან დამცველების ნაცვლად მავთულს მაერთებლებია დაყენებული. 5 ობიექტში დაუმონტაჟებელია ელექტრომრიცხველები, დაბალი და მაღალი ძაბვის მანაწილებლების უქონლობის გამო ჭიანურდება ჯერ კიდევ პირველ კვარტალში დასამთავრებელი წევის ქვესადგურიდან სარეზერვო ხაზის გაყვანა. საზომი მოწყობილობის ნაკლებობის გამო სათბობის ხარჯვა ვიზუალურად აღირიცხება, აგვიანებენ კადრების მომზადებას შემოდგომა-ზამთრის პირობებში მუშაობისათვის.

მართალია, სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტმა განახორციელა ღონისძიებანი შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად, მაგრამ, თუ რკინიგზელები სათანადოდ არ გაისარჯნენ, ზამთრის პირობებში მუშაობაში სერიოზული სიძნელეები და შეფერხებები შეექმნებათ.

ᲝᲩᲩᲐᲛᲩᲘᲠᲘ. შემოდგომა-ზამთრის პერიოდში შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად არ ჩქარობენ ოჩამჩირის კურორტვაჭრობისა და რაიკავშირის საზოგადოებრივი კვების ხელმძღვანელები.

ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმო-დაწესებულებათა უდიდეს ნაწილს გათბობა საერთოდ არა აქვს, ხოლო ვისაც აქვს, იქაც სარემონტო სამუშაოები კუს ნაბიჯით მიდის.

კურორტვაჭრობის კაფე „ტურისტსა“ და რესტორან „მერცხალს“ გათბობის საკუთარი ნაგებობა და სისტემა აქვთ, მაგრამ დღემდე არც სათბობის ლიმიტი და არც საწვავი არ გააჩნიათ.

აქ ნაკლებად ზრუნავენ ელექტროენერგიის ხარჯვის ხვედრითი ნორმების შესამცირებლად. თუმცა შემცირებას ვინ ჩიკვის, როცა კურორტვაჭრობის სისტემის შემოწმებულმა ორგანიზაციებმა მარტო წლის პირველ ხუთ თვეში 256 ათას კილოვატზე მეტი ელექტროენერგია გადახარჯეს და 20,5 ათასი მანეთი ჯარიმა გადაიხადეს. რაიკავშირის საზოგადოებრივი კვების დაწესებულებებმა ეოტა უფრო „იყოჩაღეს“ და ლიმიტის გადამეტებით 353 ათასი კილოვატით მეტი ელექტროენერგია დახარჯეს, რისთვისაც ისინი 28 ათასი მანეთით დაჯარიმეს. ამ ორგანიზაციათა სახალხო კონტროლის ჯგუფებს სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეკონომიკური ხარჯვა და ზამთრისათვის მზადება თავის ყოველდღიურ საზრუნავად არ გაუხდიათ.

აფხაზეთის სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა ოჩამჩირელ ამხანაგებს ზამთრის მოახლოება აგრძნობინა: კურორტვაჭრობ ი ს დირექტორს გ. ბერიასა და რაიკავშირის საზოგადოებრივი-კვების დირექტორს ს. ლოგუას საყვედური გამოუცხადა და თანაც სახელმწიფოსათვის ელექტროენერგიის გადახარჯვით მიყენებული ზარალის ნაწილობრივ ასანაზღაურებლად ორ-ორი თვის ხელფასის შესაბამისი თანხა დააჩიცხა.

ᲨᲔᲛᲛᲝᲬᲛᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲧᲕᲚᲘᲚᲘ

თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი, რომელმაც წარმატებით შეასრულა ხუთწლედის პირველი წლის ცხრა თვის საგეგმო დავალებანი, აჩქარებს წარმოების ტემპს.

საერთო საქმეში თავიანთი წვლილი შეაქვთ სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების წევრებს. ისინი ფვალყურს ადევნებენ არა მარტო ძირითად სამუშაოებს — ვაგონების, ხელკეტებისა და სხვადასხვა ტიპის ძრავების რემონტს, არამედ კონტროლსაც უწევენ სახალხო მოხმარების საქონლის — საკიდრების, სამზარეულო სკამების, ბაღის მერხებისა და ელექტროსაღუღრების რიტმულ გამოშვებას და ხარისხს.

სურათზე: სახალხო კონტროლიორები — ამწყობი ზეინკლები სოფიო ეგიტიანი, ლუარა ლეკვეიშვილი; ტექნიკური კონტროლის განყოფილების კონტროლიორი ვარლამ ფხაკაძე, მე-17 უბნის პარტორგანიზაციის მდივანი იულია ალიმბარაშვილი და ამწყობი ზეინკალი ციცინო ვარდოსანიძე მორიგი რეიდის დროს.

Ი. ᲫᲚᲐᲛᲘᲫᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მივხედოთ ოღასკურას

ყველამ იცის, რომ ჩვენი რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული და კულტურის ცენტრის დედამდინარე რიონია, მაგრამ ქუთათურებს გვაქვს მეორე მდინარეც — ოღასკურა. დიდ საზრუნაველად გვიჩენს მისი მოვლა-პატრონობა. ბოლო ხანებში ქალაქის ბევრი საწარმოს აქტიური დახმარებით გაიწმინდა მდინარის კალაპოტი, აიღეს იქ აშენებული ზოგიერთი ნაგებობა, რამაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესა მდინარის გამტარუნარიანობა. ოღასკურის სანტარულ-ჰიგიენური დაცვისათვის ეწყობა შაბათობები, აღიკვეთა ზოგიერთი ადგილას საკანალიზაციო ქსელდან მისი დაბინძურების ფაქტები, საავტომობილო ქარხანამ მწყენდა-ოქმეთვალყურეც კი გამოყო.

ქუთაისელები ოღასკურას მომავალზეც ბევრს ფიქრობენ. საავტომობილო ქარხნის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს დაკვეთით დამუშავდა მისი კალაპოტში მოქცევის პროექტი, რომლის განხორციელება ორ მილიონ-ნახევარი მანეთი დაჯდება. დამაინც, ყოველივე ამის შემდეგ, უნდა ვთქვათ, რომ ზოგიერთი საწარმოსა და ორგანიზაციის ხელმძღვანელები მისი დაცვის ღონისძიებებისადმი არ იჩენენ ჯეროვან გულისხმიერებას და, პირიქით, ოღასკურას წყალსაცავს უღმერთოდ აქუქყიანებენ.

მართალია, საავტომობილო ქარხნის ხელმძღვანელები გარკვეულ ღონისძიებებს ახორციელებენ გარემოს, ბუნების, მათ შორის ოღასკურის სიწმინდისათვის, მაგრამ ამავე დროს მისი ერთ-ერთი მთავარი ხელმყოფნიც არიან. ავტომშენებელთა უზარმაზარი კო

კომუნისტი
ფაქტები • მოვლენები

მსოფლიო მოლოდინშია

გამოსამართლებანი სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელთა რეიკიავიკის მომავალი შეხვედრის გამო

ლონდონი. ისლანდიის მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ყველაფერი იღონოს, რათა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ენერგიული მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. რეიგანის მომავალი სამუშაო შეხვედრა წარმატებით დაგვირგვინდეს. ეს განაცხადა ინგლისის ბი-ბი-სის სატელევიზიო პროგრამა „პანორამისათვის“ მიცემულ ინტერვიუში ისლანდიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა სტეინგრიმურ ჰერმანსონმა. „იმედი გვაქვს, — თქვა მან, — რომ ამგვარად შეეძლებთ შეკვანოთ ძირეული წვლილი განიარაღებისა და მშვიდობიანი თანაარსებობის მნიშვნელოვან საქმეში“.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ისლანდია მშვიდობისმოყვარე ქვეყანაა და „შესანიშნავი დიპლომატიური ურთიერთობა“ აქვს საბჭოთა კავშირთან.

რომი. რეიკიავიკის მომავალმა შეხვედრამ ხელი უნდა შეუწყოს მეტ საერთაშორისო უშიშროებას, რომელიც დაფუძნებული იქნება შეიარაღების თანდათანობით შეწონასწორებულ შემცირებაზე, უფრო სტაბილური პოლიტიკური განხორციელება ყველა სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესებისათვის.

ლისაბონი. აქ პრესკონფერენციაზე გამოვიდა პორტუგალიის კომპარტიის გენერალური მდივანი ალვარო კუნიალი, რომელმაც გამოთქვა იმედი, რომ საბჭოთა კავშირისა და ამერიკის ხელმძღვანელების მოლაპარაკება ხელს შეუწყობს თერმობირთვული კატასტროფის საფრთხის შენელებასა და დასახავს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გზას.

ტოკიო. საბჭოთა კავშირისა და ამერიკის ხელმძღვანელების მომავალ შეხვედრას ულრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობის მეფისათვის, განაცხადა საკადესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ჰიროსიმის მერმა ტაკეში არაკიმ. იმედი გვაქვს, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის მოლაპარაკება კარგ საფუძველს ჩაუყრის და ახალ იმპულსს მისცემს გამალებული შეიარაღების შეწყვეტასა და განიარაღების საკითხებზე კონკრეტულ მორიგებათა მიღწევას. ჰიროსიმელები, რომლებმაც ატომური ტრაგედია გადაიტანეს, მთელი მსოფლიოს ხალხთან ერთად მოელიან, რომ რეიკიავიკის შეხვედრაზე მიღწეული იქნება კონკრეტული შედეგები თერმობირთვული საფრთხის ალაგმვის მიზნით, თქვა ჰიროსიმის მერმა.

რეიკიავიკის მომავალი შეხვედრის გამო

რეიკიავიკი. საბჭოთა და ამერიკული დროშები, რომლებიც გარს აკრავს ისლანდიის ეროვნულ ფერებს, — ასეთია რეიკიავიკის ემბლემა ამ დღეებში. უმაღლესი დონის მომავალი შეხვედრის ამ სიმბოლოს ნახავთ ყველგან ისლანდიის დედაქალაქში, ალტინგთან (ისლანდიის პარლამენტი), სასტუმროებთან, საზოგადოებრივ შენობებთან, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კორესპონდენტთა საშვებზე. საერთაშორისო პრესკონფერენციაზე, სადაც დღეისათვის აკრედიტებულია 1200-ზე მეტი ჟურნალისტი, რადიოთი ულერს რუსული და ამერიკული მელოდიები.

მოიწყო ფოტოგამოფენა, რომელიც ასახავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. რეიგანის მოლაპარაკებას ჟენევაში.

აქ, რეიკიავიკში, ჟურნალისტებთან და საზოგადო მოღვაწეებთან შეხვედრების დროს პრესის, რადიოსა და ტელევიზიის კომენტარებით ძნელი არ არის დარწმუნდე, რომ მათი უმრავლესობა მხარს უჭერს საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეხვედრის მონაწილეთა წინაშე დასახულ მნიშვნელოვან მიზნებს და წარმატებას უსურვებს მუშაობაში. ისინი იმით ხელმძღვანელობენ, რომ მსოფლიოში ბევრი რამ არის დამოკიდებული საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის მდგომარეობაზე, განსაკუთრებით ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების რთული და საარსებო მნიშვნელობის საკითხთა დარგში. ჟურნალისტებთან საუბრებში ხშირად გამოითქმება აზრი, რომ საბჭოთა კავშირის ურთიერთობა შეერთებულ შტატებთან არ შეიძლება ჩაითვალოს უპერსპექტივად სხვა დარგებშიც. ვაშინგტონსა და ნიუ-იორკში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ე. ა. შევარდნაძისა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჯ. შულცის შეხვედრების შედეგად, ბევრი მეთვალყურის აზრით, იკვეთება მთელ რიგ საკითხებზე მორიგებათა დამაიმედებელი კონტურები. მოლაპარაკების მაგიდაზე ძევს საბჭოთა კავშირის კონსტრუქციული კომპრომისული წინადადებანი. ზოგიერთი მეთვალყურის ვარაუდით, რაციონალურ მარცვალს არ არის მოკლებული ამერიკის ზოგიერთი წინადადებაც. ამირგად, აქ იმ აზრისა არიან, რომ არის კომპრომისის მიღწევის შესაძლებლობა.

მილიონთა სახელით

მშვიდობის მსოფლიო საბჭომ მიმართვა გაუგზავნა სსკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს მ. ს. გორბაჩოვსა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს რ. რეიგანს რეიკიავიკში მათი მომავალი შეხვედრის გამო. მშვიდობის მსოფლიო საბჭომ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მოვლენას, და ყველა კონტინენტის მილიონობით მშვიდობის მომხრის სახელით გამოთქვა იმედი, რომ შეხვედრის შედეგები შეესაბამება პლანეტის ადამიანთა იმედებსა და მისწრაფებებს.

გულწრფელად გვსურს, რომ რეიკიავიკის შეხვედრამ ეფექტიანი იმპულსი მისცეს მოლაპარაკებს ბირთვული გამოცდების აკრძალვის, ქვეყნად გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და კოსმოსში მისი გადატანის თავიდან აცილების შესახებ, აგრეთვე ხელი შეუწყოს საერთაშორისო კლიმატის საერთო გაჯანსაღებას, ნათქვამია დოკუმენტში. ეს, ხაზგასმით აღნიშნავს მშვიდობის მსოფლიო საბჭო, დასახავს მომავალი უმაღლესი დონის შეხვედრაზე განიარაღების დარგში მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა მიღწევის გზას, რის იმედიც მთელ კაცობრობას აქვს.

ეს იმედები, ნათქვამია მიმართვაში, უკავშირდება ბირთვული ეპოქის გადაუდებელ მოთხოვნებს. ისინი ეფუძნება აგრეთვე დღევანდელ რეალობებს, მათ შორის ახლახან სტოკჰოლმის კონფერენციასა და ვენაში მაგატეს გენერალური კონფერენციის სესიაზე მიღწეულ შეთანხმებებს. ისინი მოწმობენ, რომ, თუ იქნება პოლიტიკური ნება და ურთიერთგაგება შეიძლება ყველაზე რთული პრობლემებიც კი გადაწყდეს.

მილიონობით კეთილი ნების ადამიანის ყურადღება ახლა მიპყრობილია ისლანდიის დედაქალაქისადმი, ნათქვამია დასასრულ მიმართვაში. მთელი კაცობრიობა იმედოვნებს, რომ დაგვირგვინდება საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეხვედრა.

**შეერთებულ შტატებში ამ ბოლო ხანს შემაძრწუნებელი ტრადიცია დამკვიდრდა — შობას და ახალ წელს ხალხი იღებს საჩუქრებს, რომელიც სიკვდილს უქადის: სათამაშოებს შიგ ჩამონტაჟებული ბომბებით, სადღესასწაულო ღვეზელებს, რომლებიც სავსეა ნემსებით და სამართებლის ნამტვრევებით და ა. შ. ეს, როგორც აქ უწოდებენ, „პრაქტიკული ხუმრობანი“ ჩვეულებრივ ბორიტმოქმედთა ან სულით ავადმყოფთა ნახელავია, გამონაკლისი არ მომხდარა 1983 წელსაც. მაგრამ, მგონია, არ შეავდები, თუ ვიტყვი, რომ ამ მხრივ ყველას აჯობა პენტაგონმა. მილიტარისტულმა სანტა-კლაუსმა კაცობრობას საახალწლო ნაძვისხის წინ ისეთი „საჩუქარი“ მიართვა, რომ ვერავითარი შიზოფრენიკები და ბორიტმოქმედები ვერ მოიფიქრებდნენ. ოფიციალური ეტიკეტის მიხედვით, მას „ცენტრალური სარდლობა“ ეწოდება.

„ცენტრალური სარდლობა“, რომელიც 1983 წლის 1 იანვარს იშვა, ახალი დამაჯერებელი დასტურია იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიო ჰეგემონიზმს ესწრაფვის, მთელი პლანეტის ბედის გაძგერლობას ლამობს. იგი ვაშინგტონის გლობალური მილიტარისტული მზადების შემადგენელი ნაწილია, რომელიც ისეა გატენილი დაძაბულობითა და კონფრონტაციით, როგორც ზემოხსენებული ღვეზელი სამართებლის ნამსხვრევებით. რა თქმა უნდა, თავად „ცენტრალური სარდლობის“ შემქმნელნი მას სულ სხვა კვალიფიკაციას აძლევენ. მაგალითად, ამერიკის თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა, იგი „ყოველგვარი ომის საფრთხისაგან ამერიკის ინტერესების დასაცავად“ შეიქმნო. რაღა თქმა უნდა, რომ ეს ინტერესები „საარსებოა“.

მაგრამ ნამდვილად ასე კია? „ცენტრალური სარდლობის“ პარამეტრების ფაქტობრივი ჩამოთვლაც კი ქვას ქვაზე არ ტოვებს ასეთი მტკიცებისათვის. დავიწყოთ იმით, რომ „ცენტრალური სარდლობის“ ანუ სენტკომის ბრეჟყალებში აღმოჩნდება დედამიწის გიგანტური ნაწილი — ახლო აღმოსავლეთიდან, სპარსეთის ყურის ნავთობიანი რაიონის ჩათვლით, ინდოეთის ოკეანემდე. „ცენტრალური სარდლობის“ მოქმედების ზონა 19 ქვეყნის ტერიტორიას მოიცავს — აღმოსავლეთში პაკისტანიდან დასავლეთში ეგვიპტემდე, ჩრდილოეთში ირანიდან სამხრეთში კენიამდე. ამ ქვეყნების „ამოწურული“ სია კი ამგვარია: ავღანეთი, პაკისტანი, ირანი, ერაყი, კუვეიტი, ბაჰრეინი, არაბთა გაერთიანებული ემირატები, კატარი, საუდის არაბეთი, ომანი, ჩრდილოეთ იემენი, სამხრეთ იემენი, სომალი, სუდანი, კენია, ეთიოპია, ჯიბუტი, ეგვიპტე და იორდანია.

ამ ახალი სამხედრო უწყების ბინა განლაგებულია მაკდილის ავიაბაზაში, რომელიც ფლორიდის შტატის ქალაქ ტამპაშია. სწორედ აქ იქნება „ცენტრალური სარდლობის“ შტაბი (შემთხვევითი არ გეგონოთ, რომ აქვეა განლაგებული „სწრაფი რეაგირების ძალების“ დაგეგმვის განყოფილებაც).

„ცენტრალური სარდლობის“ შექმნა იმ მილიტარისტული ყაიდის აზროვნების საშიში ნაყოფია, რომელიც ფეხი მოიკიდა და ამქამად გაბატონებულია ოფიციალურ ვაშინგტონში. ამ „ყაიდის“ აზროვნების თანახმად, მსოფლიო სუვერენული სახელმწიფოებისაგან კი არ შედგება, არამედ დაყოფილია საომარი მოქმედების ზონებად. ამგვარი აზროვნების გლობალიზმი, სხვათა შორის, იმით გამოიხატება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმი სულ უფრო აშკარად გადადის ცალკეული „ზონების“ ათვისებიდან მათ კომპლექსურ ურთიერთდაკავშირებაზე. სენტკომიც სწორედ იმიტომ შეიქმნა, რომ ცალკეული სამხედრო ბაზების ნაცვლად აგრესიის უფრო ფართო პლაცდარმები შექმნან. ეს ტენდენცია დამატებითს შუქს ჰფენს ვაშინგტონის იმ ცდებს ნამდვილ მოტივებს, რომ გაძლიეროს და გააფართოოს თავისი სამხედრო ყოფნა მთელ რიგ რეგიონებში, თავს მოიგვიოს სხვა ქვეყნებს უთანასწორო შეთანხმებანი, გამოიყენოს მათი ტერიტორია პენტაგონის სამხედრო ტრამპლინებად.

არც ის არის შემთხვევითი, რომ სენტკომი „სწრაფი რეაგირების ძალების“ „დაუკავშირეს“. ეს ძალებიც ჯერ კიდევ კარტერის ადმინისტრაციის დროს შეიქმნა ვიეთნამდა ირანისა და ავღანეთის ამბების პასუხად. ახლა კი უკვე ნათელია, რომ ეს ამბები მარტოოდენ საბაბი იყო იმისათვის, რომ იმპერიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის მორიგი, მოდერნიზებული კეტი გამოეჭედათ. სენტკომის შექმნის შესახებ ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია: „საგანგებო გარემოებათა შექმნის შემთხვევაში ეს ახალი სარდლობა შეძლებს გამოიყენოს „სწრაფი რეაგირების ძალების“ პირადი შემადგენლობის კონტინგენტები, რომლებიც ძირითადად შეერთებულ შტატებში არიან დაბანაკებული. „ცენტრალური სარდლობის“ განკარგულებაში პენტაგონმა უკვე გამოყო რამდენიმე შენაერთი — ტაქტიკური ავიაციის 11 ესკადრილია, მე-18 ავიასადესანტო კორპუსის დივიზიები, სამი საავიამზიდო დამკვრელი ჯგუფი და სხვ. მომავალში სენტკომს უნდა გადაეცეს „სწრაფი რეაგირების ძალების“ მთელი კონტინგენტები — დაახლოებით მეოთხედი მილიონი კაცი.

ვაზეთ „ვაშინგტონ პოსტისათვის“ მიცემულ ინტერვიუში შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა უაინბერგერმა ფრიად გულახდილად განაცხადა, სენტკომის სტრუქტურაში „სწრაფი რეაგირების ძალების“ შთანთქმა „სხვა არა არის რა, თუ არა სახელწოდების შეცვლაო“, — რომ საქმე ეხება ჭეშმარიტად გლობალურ გარდაქმნას იმ მიზნით, რომ იმპერიალიზმის „სახანძრო რაზმები“ განალაგონ დედამიწის ყოველ კუთხეში. ფრიად საგულისხმოა ერთი დეტალი: უაინბერგერმა აღიარა, რომ ინგლისელთა „გამოცდილებამ“, რომლებმაც „უეცრად აღმოაჩინეს, რომ საჭირო იყო გადაესროლათ თავიანთი ძალები ფოლკლენდის კუნძულებზე“, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სენტკომის შექმნის პროცესის დაჩქარებაში. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბრიტანელ კონსერვატორთა ფონკლუნდის ავანტიურა იმპერიალისტური და კოლონიური პოლიტიკის კლასიკური რეციდივი იყო, კიდევ უფრო ნათელი გახდება ამერიკის შეერთებული შტატების ამ ახლად გამომცხვარი „ცენტრალური სარდლობის“ ხასიათი.

ზემოთ მე ჩამოგითვალეთ ცხრაშეკვეთ ქვეყანა, რომლებიც სენტკომის მოქმედების ზონაში, ანუ, პენტაგონის პრეპაგანდისტული ენა-ენაზე ითქმის, „ამერიკის შეერთებული შტატების საარსებო ინტერესების სფეროში“ შედიან. ძნელი დასამტკიცებელი არ არის (ამისთვის საკმარისია გადავხედოთ მსოფლიო რუკას), რომ ლაპარაკია სახელმწიფოებზე, რომლებიც შეერთებული შტატებიდან ათასობით კილომეტრზე მდებარეობენ. მაგრამ ეს დაშორებაც არ არის მთავარი. ვაშინგტონი ცდილობს თავისი სამხედრო-პოლიტიკური ბატონობა მოახდინოს თავს მთელ რიგ სუვერენულ სახელმწიფოებს, რისთვისაც თვითნებურად ტენის მათ ათასვგვარ „სფეროებში“ და „ზონებში“, თანაც ფორმალურადაც კი არ ეკითხება მათ, თანახმანი არიან თუ არა.

ოფიციალური ვაშინგტონის კადნიერება, როცა თავისი ანგარებითი მიზნების გულისთვის სათამაშოდ გაუხდია სახელმწიფოთა და კონტინენტთა ბიგ-იობალი, ისევე უსაზღვროა, როგორც სენტკომის მოქმედების ამპლიტუდა. ასევე არავითარი საზღვარი არა აქვს მის ფარისევლობას: ვაშინგტონი, რომელიც ხმალამოღებული „იღვწის“ „ადამიანის უფლებისათვის“, ცინიკურად თელავს ფეხქვეშ მთელი ხალხების უფლებებს; იგი იჭაჭება „პიროვნების ხელშეუვალობის“ გულისთვის, და ამავე დროს ძარცვავს სხვა ქვეყნების ბუნებრივ სიმდიდრეს, იმის ბუნებრივ უფლებასაც კი არ უტოვებს, რომ თვითონ განაგონ თავიანთი წიაღისეული. ტყუილად კი არ არის, რომ ნებისმიერ ნავთობიან რაიონს ვაშინგტონი თავის „საარსებო ინტერესების“ სფეროდ აცხადებს. და პენტაგონის შეფმა უაინბერგერმაც ტყუილად როდი ბრძანა საქვეყნოდ იმავე ინტერვიუში, რომ „სწრაფი რეაგირების ძალები“ და სენტკომი „ავტომატურად არიან ორიენტირებულნი ნავთობსარეწებზე“.

ასე და ამრიგად, „სწრაფი რეაგირების ძალებმა“ სენტკომი გამოჩეკა. მაგრამ ნუთუ ეს სარდლობა გეგონოთ „ზოლო გაჩერება“. მაკდილის ბაზაში შეიქმნა ასი ოფიცრისგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც ამუშავებს ამერიკის შეიარაღებული ძალების გადასროლის გეგმებს იმ რაიონებში, რომლებიც „ცენტრალური სარდლობის“ „ზონაშიც“ კი ვერ მოჰყვა. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი რაიონია აფრიკა საჰარის სამხრეთით. რაც შეეხებათ ისრაელს, ლიბანსა და სირიას, მათ „მეგობრულად“ იყოფენ სენტკომი და ნატო. როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების ყოფილ შტაბის უფროსის, ადმირალ ჯეიმს უოტკინსს უთქვამს, „ნატოსთვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ თავისი გეოგრაფიული საზღვრები უფრო მოქნილი პოზიციებიდან განიხილოს, ვიდრე ამას წინათ შერებოდა“. ეს ადმირალისეული „მოქნილობა“ არსებითად უგულებელყოფს საერთაშორისო სამართლის ისეთ ფუძემდებლურ ნორმას, როგორიცაა სუვერენულ სახელმწიფოთა საზღვრების ხელშეუვალობა.

„ცენტრალური სარდლობის“ შექმნა ვაშინგტონის გლობალური ჰეგემონისტური პოლიტიკის ეტაპია, სამხრეთ-დასავლეთ აზიაში, აღმოსავლეთ აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში ამერიკის ბატონობის დამყარების სტრატეგიული გეგმის დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. სწორედ ამ სტრატეგიის ფონზე უნდა განვიხილოთ ვაშინგტონის კურსი, რომლის მიზანია ზღვებში სამხედრო უპირატესობის მიღწევა, 150 ახალი ძირითადი კლასების საბრძოლო ხომალდის შშენებლობის გეგმები და სამხედრო-საზღვაო ფლოტის საერთო შემადგენლობის გაზრდა 600 ერთეულამდე. კალიფორნიის შტატის ლონგ-ბიჩში სახაზო გემის „ნიუ-ჯერსის“ რეკონსერვაციის ცერემონიაზე გამოსვლისას პრეზიდენტმა რეგანმა ბირდაპირ მოითხოვა უზრუნველყონ „პირველობა“ და „სამხედრო უპირატესობა“, რათა შეიარაღებული ძალების გადასროლის გეგმებს ეს ამოცანა ეკისრებოდეს. ეს ამოცანა, ვიცე-პრეზიდენტ ბუშის ინფორმაციით, ეხება ირან-ერაყის ომში ჩარევას, ლიბანში ინტერვენციას, ბრაზილიაში „ბანანის ომის“ ანალოგიურ ინტერვენციას, ბრაზილიაში მოგვიანებით ოკეანის ზედაპირი და სიღრმე“, როგორც რეიგანმა ბრძანა „ნიუ-ჯერსის“ განმეორებითს ნათლობაში.

იმ რაიონებში, რომლებსაც სენტკომის ბრეჟყალები ეტანება, არა მითური, არამედ სრულიად რეალური საარსებო ინტერესები აქვს სწორედ ჩვენს ქვეყანას, რადგან ეს რაიონები განლაგებულია ჩვენი საზღვრებისა და ჩვენი მეგობრების საზღვრების მახლობლად. აი, რატომ არის, რომ საბჭოთა კავშირი გულგრილი ვერ დარჩება იმისადმი, რაც პენტაგონის და მაკდილის ბაზის „ტაბებში ხდება. ჩვენ გვინდა, რომ ამ რეგიონებში ნორმალური და მშვიდი ვითარება სუფევდეს. აი რატომ არის, რომ აგრესიისა და დიქტატის იმპერიალისტურ დოქტრინას საბჭოთა კავშირი მშვიდობისა და უშიშროების დოქტრინას უპირისპირებს. საკმარისია ვაშინგტონის 1983 წლის „საახალწლო საჩუქარი“ შეგადარეთ მშვიდობიან ინიციატივებს, რომლებიც საბჭოთა კავშირმა გამოიჩინა და მ. ს. გორბაჩოვმა ვლადივოსტოკში გამოაცხადა, რომ ამაში დავრწმუნდეთ.

ეარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პრაღის პოლიტიკური დეკლარაციაში შეშფოთებით არის აღნიშნული, რომ აგრესიული ძალების შემდგომი გაქტიურება „ედგამ სამყაროს ... ომის ... ...

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲠᲔᲞᲔᲠᲢᲣᲐᲠᲘᲗ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲐ

— **ᲓᲘᲐᲮ**, დღეს, 10 ოქტომბერს, მეცხრამეტე თეატრალურ სეზონს გახსნის რუსთაველის სახელმწიფო დრამატული თეატრი. მე პირადად თორმეტი წელი ვიმუშავე ამ თეატრში როგორც დამდგმელმა რეჟისორმა, მისი ჭირისა და ლხინის მონაწილე ვიყავი. ხანმოკლე შესვენების შემდეგ, გასული თეატრალური სეზონის მიწურულს, თეატრის მთავარი რეჟისორობა და დირექტორობა მე დამეკისრა. ასე, რომ, სამუშაოდ დავბრუნდი ისეთ თეატრში, რომლის შემოქმედებითს შესაძლებლობებსა და პოტენციას კარგად ვიცნობდი, — თქვა „კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, კოტე მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატმა, რეჟისორმა თამაზ მესხმა.

თეატრალური სეზონის ბოლოს რუსთაველის მაყურებელმა ნახა ი. დრუცეს ორმოქმედებიანი დრამა „წმიდათაწმიდა“, რომელიც დადგა აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ დ. კობახიძემ, მხატვრულად გააფორმა საქართველოს დამსახურებულმა მხატვარმა ა. ჭელიძემ. ახალი სეზონის პირველ პრემიერად მაყურებელი იხილავს ივ. ჟამიაკის პიესას „დამქირავებელი“, რომელსაც დადგამს რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის დიპლომანტი ა. ენუქიძე, სპექტაკლს მხატვრულად გააფორმებენ ახალგაზრდა მხატვრები დ. აფციაური და პ. მძინარიშვილი. ამას მოჰყვება რეჟისორ დ. კობახიძის მიერ დადგმული ბ. ტომასის კომედია „ჩარლის დეიდა“, სპექტაკლს სცენოგრაფიაზე მუშაობს მხატვარი ლ. მურუსიძე.

— ჩვენი თეატრი განსაკუთრებით არის დაინტერესებული ქართული რეპერტუარით, — თქვა თამაზ მესხმა, — რადგან, მიგვაჩნია, რომ ეროვნული რეპერტუარი არის მთავარი ფაქტორი თეატრის შემოქმედებითი სახის გამოსაკვეთად. სასიხარულოა, რომ ამ ბოლო წლების მანძილზე ქართულ დრამატურგიაში გამოჩნდა ახალი სახელები. მაგალითად, შ. შამანაძის შემოქმედებას თითქმის ყველა თეატრმა ერთდროულად გაუღო კარი, მათ შორის რუსთაველის თეატრმაც, წელს ფრიად გაგვახარა ჩვენი ცნობილი მწერალი თამაზ ჭილაძის ახალმა ორმოქმედებიანმა დრამამ „ჩიტების ბაზარი“, რომელიც რესპუბლიკის ბევრი თეატრის რეპერტუარში შევიდა. მიუხედავად იმისა, რომ პიესა ძალზე რთულია, დიდი ინტერესით მოვკიდე მას ხელი და მიხარია, რომ მსახიობებიც უაღრესად დაინტერესდნენ. მიმდინარე სეზონში დავდგამთ აგრეთვე ო. ჩხეიძის პიესას „ძველ რომანსებს“, რომელიც მწერალმა მთლიანად გადაამუშავა, ლ. სამსონაძის „შუაღამისას“ და შ. შამანაძის „ერთხელ მხოლოდ, ისიც ძილში“.

გვიახლოვდება დიდი ილიას საუბილეო თარიღი. ამ თარიღის შესახვედრად რესპუბლიკაში ყველა შემოქმედებითი ორგანიზაცია უაღრესად სერიოზულ და შრომატევად მუშაობას ეწევა. ჩვენს თეატრს განზრახული აქვს განახორციელოს ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებთა სცენური კომპოზიცია, რაზეც მუშაობს მწერალი რეზო ჯიშკარიანი. თეატრალური ცხოვრება რომ უფრო საინტერესო გახდეს, ვაპირებთ ისეთი რეჟისორების მოწვევას, რომლებიც თავიანთი გამოცდილებით, შემოქმედებითი კულტურით დიდ დახმარებას გაუწევენ დასს. საქართველოს სსრ სახალხო არტისტი გ. ქავთარაძე ჩვენთან დადგამს კ. გამსახურდიას „დავით აღმაშენებელს“, რომლის ინსცენირებაზე მუშაობს გურა კვარაცხელია, მე კი პასუხად სოხუმის ქართული თეატრის სცენაზე დავდგამ კ. გამსახურდიას „შთავარის მოტაცებას“. შემოქმედებითი კონტაქტები გაღრმავდება გაცვლითი გასტროლებითაც — მაისიდან სოხუმის ქართული დასი საგასტროლოდ ეწვევა რუსთავს, ზაფხულში კი რუსთავის თეატრის კოლექტივი გამართავს გასტროლებს სოხუმში. ამგვარი ერთობლივი მუშაობა და თეატრების მეგობრობა ქალაქებისა და თეატრებისთვის საინტერესო პერსპექტივად გვესახება. ვაპირებთ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტების მიხეილ თუმანიშვილისა და რობერტ სტურუას, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის გიზო ჟორდანიას მოწვევას. ცალკეული როლების შესასრულებლად მოვიწვევთ ხოლმე ცნობილ მსახიობებს. სპექტაკლებში ხშირად ვათამაშებთ თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტებსაც, რომლებსაც ინსტიტუტი სპეციალურად ჩვენი თეატრისათვის ამზადებს. ეს სტუდენტები მალე პირველ ნათლობას მიიღებენ ედუარდო დე ფილიპოს „ცილინდრში“, ამით მოხდება თაობათა ცვლაც, სპექტაკლის ამქამინდელი შემადგენლობა მაყურებლის წინაშე სეზონიდან დაულოცავს გზას მომავალ თაობას.

და მაინც, ყველაზე დიდ საზრუნავად მესახება მსახიობთა დასის მაქსიმალური დატვირთვა. თუ ამას მივაღწევ, ჩემს შრომას რუსთავის თეატრში შედეგიანად ჩავთვლი. ჯერ კი დასაწყისია.

(„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲙᲝᲠ.).



ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. ᲕᲐᲠᲙᲔᲗᲘᲚᲘᲡ ᲛᲐᲡᲘᲕᲘ. — Ს. ᲗᲝᲤᲩᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲔᲑᲘ

„ᲛᲐᲣᲚᲘᲛᲕᲘᲚᲝᲑᲐ“

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ კი კაცი ფეხს შედგამდა მარნეულის რაიონის ტერიტორიაზე, მყისვე იგრძნობდა, რაოდენ დიდ პატივს მიაგებენ თავიანთ სახელოვან მამულიშვილს, ქართული ლიტერატურის კლასიკოსს მიხეილ ჯავახიშვილს. მთელ გზაზე, მშობლიურ სოფელ წერაქვამდე, გვეგებებოდა მხატვრის ფუნჯით შესრულებული მის პორტრეტები, ბრძნული გამონათქვამები მწერლის ნაწარმოებებიდან. სტუმარი კი უამრავი მოვიდა 5 ოქტომბერს ქვემო ქართლის ამ უძველეს სოფელში, არა მარტო ჩვენი რესპუბლიკიდან, მოძმე სომხეთიდან და აზერბაიჯანიდანაც. სტუმრებმა ყვავილებით შეამკეს ძეგლის კვარცხლბეკი, ამ დიდ მამულიშვილს რომ აუგო მადლიერმა შთამომავლობამ.

დღის 12 საათზე მწერლის სახლ-მუზეუმის წინ მოწყობილ ტრიბუნაზე ადგილებს იკავებენ პარტიული და საბჭოთა მუშაკები, ლიტერატურის, ხელოვნების, მშრომელთა წარმომადგენლები. გაიმართა ტრადიციული დღესასწაული „მამულიშვილობა“.

მოეწყო მხატვრული განყოფილება თვითმოქმედი კოლექტივების მონაწილეობით. დიდხანს ეღერდა ქართული, სომხური, აზერბაიჯანული, რუსული მუსიკის ჰანგები. ზეიმი თრიალეთის მთის კალთებზე ხალხთა დიადი მეგობრობისა და ძმობის ნათელი დემონსტრაცია იყო. („ᲙᲝᲛ.“ ᲙᲝᲠ.).

„ᲘᲐᲙᲝᲑᲝᲒᲐ“

ᲜᲘᲣᲐᲜᲓᲝᲒᲚᲘᲕᲘᲐ, რომ ახლახან ბოლის რაიონის მშრომელებმა მასწავლებლის დღესთან ერთად იზეიმეს გამოჩენილი პედაგოგისა და განმანათლებლის — იაკობ გოგებაშვილის პატივსაცემად გამართული სახალხო დღესასწაული.

ვარიანელებთან სტუმრად მოვიდნენ ახლომახლო სოფლების მშრომელები, ქ. გორისა და მისი რაიონის ხელმძღვანელები, ზეიმში მონაწილეობდნენ აგრეთვე ესტონეთის სსრ რაპლას რაიონის კოლმეურნეობა „კაიუს“ წარმომადგენლები.

ადგილობრივმა მხატვრულმა თვითმოქმედმა კოლექტივებმა ჩინებული კონცერტი წარმოადგინეს, სპორტსმენებმა კი თავიანთი ოსტატობა აჩვენეს.

(„ᲙᲝᲛ.“ ᲙᲝᲠ.).

„ᲛᲐᲒᲐᲠᲝᲑᲐ“

ᲥᲐᲠᲔᲚᲘ. ტრადიციული გახდა ძამის ხეობაში დღესასწაული ზაზაობა.

აქ, ქარელიდან 15 კილომეტრზე, სოფელ ერთუბანთან, მდინარე ძამის პირას დღემდე შემორჩენილია ციცოშვილების ციხე. გადმოცემით აქ ცხოვრობდა და ქმნიდა თავის სახელგანთქმულ „ქარაბადინს“ შუა საუკუნეების ცნობილი მკურნალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ზაზა ფანასკერტელი-ციცოშვილი.

ამ დღეებში რაიონის მშრომელებმა კიდევ ერთხელ მიაგეს პატივი დიდ წინაპარს. ასობით სტუმარი მოვიდა ახლომახლო სოფლებიდან და დედაქალაქიდან.

კულტურის სარაიონო სახლის თვითმოქმედი წრეების წევრებმა წარმოადგინეს ლიტერატურულ-მუსიკალური მონტაჟი.

დასასრულ გაიმართა სახალხო სეირნობა და სპორტული ასპარეზობა.

(„ᲙᲝᲛ.“ ᲙᲝᲠ.).

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲐᲠᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲨᲘ

ᲛᲐᲢᲩᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ იმისა, რომ 23-ე [illegible] ეკონომიკურ, შემდეგ კი თითო პარტიის შემდეგ კასპაროვმა — თორ ეტლი გაიტანა. ამის მიმსოფლიო ჩემპიონობა შეინარჩუნა [illegible] ბერძოლა უნა, ბოლო შეხვედრას [illegible] გგრძელდა. [illegible] დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ჯერ ერთი, მისი მოგების შემთხვევაში კარპოვი მატჩს ყაიმით ამთავრებდა. მეორე მხრივ, კასპაროვს, რა თქმა უნდა, სურდა, ამ ძნელი ორთაბრძოლის საბოლოო გამარჯვებით დაგვირგვინება.

კასპაროვმა ლაზიერის წინა პაიკის დასწყისს მიმართა. გათამაშდა ახალინდური პარტიის ერთ-ერთი ვარიანტი, სადაც მსოფლიო ჩემპიონმა არ გაითვალისწინა თეორიული რეკომენდაციები და ახლებურად ითამაშა. კუს შაგზიდარში ნაადრევი გაცვლის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონმა რამდენადმე უკეთესი პოზიცია მიიღო. ამასთან შაგების პოზიცია საგრძნობლად არ დასუსტებულა, ასე რომ, შეუპოვარი დაცვით კარპოვმა მალე შეძლო მდგომარეობის კონსოლიდაცია. აქ ბევრს ეგონა, რომ მეტოქეები მალე დაზავდებოდნენ, მაგრამ ასე არ მომხდარა. მდგომარეობის საგრძნობი გამარტივების მიუხედავად, არც ერთი მხარე ყაიმზე არ ფიქრობდა. თეორიების ინიციატივა ამოიწურა, მაგრამ აქ უკვე კარპოვმა მიიღო რამდენადმე უკეთესი შესაძლებლობები. ლაზიერების გაცვლის შემდეგ თამაში გადავიდა ოთხი ეტაპზე, ოთხივე ერთნაირ ლინიებზე, [illegible] ეტლი გაიტანა. ამის მიმიერ [illegible] ბერძოლა [illegible] ბერძოლა [illegible] ბერძოლა